



საქართველოს ვენჩურული კაპიტალის ასოციაცია
“დააფინანსე ტექნოლოგიური მომავალი”



საქართველოს ვენჩურული კაპიტალის ასოციაცია შეიქმნა რეგიონში ვენჩურული და კაპიტალური დარგების განვითარებისა და საქართველოს ფინანსურ ტექნოლოგიურ რეგიონალურ ცენტრად ჩამოყალიბების მიზნით.

ასოციაცია ქმნის ეფექტურ საინვესტიციო პლატფორმას ინოვაციური იდეის მქონე ბიზნეს კომპანიებისა და ფიზიკური პირებისთვის და გეგმავს ქმედით ნაბიჯებს სტარტაფების განვითარებისა და გლობალურ ბაზარზე წარსადგენად. ჩვენი მიზანია დაფინანსებისა და მართვის კულტურის ჩამოყალიბება.

GGVCA-ს მიზანია ფინანსური, აგრო, საკომუნიკაციო და სამედიცინო ტექნოლოგიების სტიმულაცია, ახალი დარგების აღმოჩენა და არსებულ სფეროებს შორის კონკურენტუნარიანობის ზრდა და ქვეყნის ტექნოლოგიური პროგრესის აქსელერაცია.

ასევე, ვენჩურული, ანგელოზი და კერძო კაპიტალის ფონდების საქმიანობის ხელშეწყობა საკანონმდებლო-მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესების, მსოფლიო ფონდებთან და ასოციაციებთან პარტნიორობის დამყარებითა და სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გზით.

კავშირების დამყარება

- ✓ საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენა სექტორულ ღონისძიებებზე, ბიზნეს შეხვედრებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე;
- ✓ ინვესტორებისათვის ბიზნეს ტურებისა და სტარტაპებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ✓ ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ დარგში მიღწეული წარმატებების გავრცელება;
- ✓ პოტენციური ინვესტორებისათვის სტარტაპების შესახებ სანდო ინფორმაციის მიწოდება.

ლობირება

- ✓ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება საკონონდებლო ინიციატივების გზით;
- ✓ კერძო და ვენჩურული კაპიტალის ინვესტორების ინტერესების დაცვა

ლობირება

- ✓ ვორქშოპების, ტრენინგების, კონფერენციების, ბიზნეს შეხვედრების ორგანიზება და კავშირების გარდამავების ხელშეწყობა;
- ✓ მიმდინარე ტექნოლოგიური ტენდენციების გაცნობა და წევრებისა საზოგადოებისთვის;
- ✓ GVCA წევრებისთვის ვიზიტების ორგანიზება საზღვარგარეთ ღონისძიებებზე ვენჩურული პროექტების აღმოჩენისა და ინვესტორებთან დაკავშირების მიზნით.

კვლევა

- ✓ საქართველოსა და რეგიონში ვენჩურული კაპიტალის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
- ✓ საერთაშორისო ასოციაციებისა და ინვესტორთა გაერთიანებების ინფორმირება.



**ჩვენ ვეძებთ გზებს
თქვენი მომავლის
დასაფინანსებლად!**

- ✓ ერთერთი ყველაზე ქმედითი და პერსპექტიული ასოციაცია, რომელიც ორიენტირებულია მაღალრისკიანი ინვესტიციების მოზიდვაზე
- ✓ თქვენი ინტერესების დამცველი საკონომდებლო ორგანოებსა და საერთაშორისო ინსტიტუტებში
- ✓ სანდო შუამავალი სტარტაპებს, ბიზნესებს, ინვესტორებსა და ექსპერტებს შორის
- ✓ არაკომერციული ინტერესებიდან გამომდინარე ასოციაცია ინფორმაციისა და ანალიტიკური მასალების მოძიების ერთ ერთი სანდო წყაროა
- ✓ ვზრუნავთ ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებაზე და ვგეგმავთ საგანამანათლებლო ღონისძიებებს სტარტაპების განვითარებისთვის, ვიწვევთ საერთაშორისო ექსპერტებს
- ✓ ვმართავთ მაღალი რანგის დახურულ შეხვედრებს, კოქტეილ საღამოებს, კონფერენციებს, ვაორგანიზებთ ვიზიტებს საზღვარგარეთ კონფერენციებზე ექსკლუზიური პირობებით
- ✓ ჩვენი წევრების მხარდასაჭერად მაქსიმალურად ვითვალისწინებთ მათ საჭიროებებს

A კატეგორია

- ინვესტორები
- ვენჩურული კაპიტალის ინვესტორები
- ანგელოზები
- ასოციაციის დამფუძნებლები
- დარგის ლიდერები
- და სხვ.

B კატეგორია

- ბიზნეს ორგანიზაციები
- ფინანსური ორგანიზაციები
- საკონსულტაციო კომპანიები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- სტარტაფები
- სპეციალისტები
- და სხვ.

C კატეგორია

- უნივერსიტეტები
- კვლევითი ინსტიტუტები
- პროფესიული განათლების ცენტრები
- ტრენინგ ცენტრები
- და სხვ.

D კატეგორია - საპატიო წევრები

- საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები
- დარგის გამოჩენილი ექსპერტები
- ელჩები და კონსულეები
- ასოციაციები, სავაჭრო-სამრეწველო პალატები
- პოლიტიკოსები
- მედია წარმომადგენლები
- და სხვ.

ასოციაციის უახლესი და უმნიშვნელოვანესი მიზნებია

1. სილიკონის ველის გამოცდილ, ცნობილ ვენჩურულ კაპიტალისტებთან პარტნიორობით დაფუძნდეს \$15 მილიონიანი ქართული ვენჩურული ფონდი
2. ამ ფონდმა განახორციელოს წარმატებული ინვესტიციები 300 ტექნოლოგიურ სტარტაპში
3. შედეგად წარმატებული სტარტაპების ისტორიებით უკვე მსოფლიოს წამყვანი ვენჩურული კაპიტალისტების მიერ განხორციელდეს \$200 მილიონიანი ფონდის დაფუძნება
4. საქართველო გახდეს რეგიონალური ცენტრი სტარტაპებისთვის
5. ხელი შეეწყოს საქართველოს კაპიტალურ ბაზარს რეგიონალური ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბებაში

**\$15 მილიონის ინვესტირებით რევოლუციურ
ტექნოლოგიურ სტარტაპებში ქვეყანა
ტექნოლოგიურ რუკაზე განათდება.**

**მიიღე მაღალი უკუგება ინვესტიციაზე და
შეცვალე ქვეყანა უკეთესობისკენ!**